შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

წინამდებარე წესი არეგულირებს შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯის სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მიღებული განათლების აღიარების წესს, არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა მობილობას, ადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **კოლეჯი** - **შპს რუსთავის აკადემიური ქალაქის სამედიცინო კოლეჯი;**

ბ) **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** - სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა;

გ) **პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი** – დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები, შესაბამისი კვალიფიკაციის/ კვალიფიკაციების მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომლებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე/ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების და ამ პროგრამის/პროგრამების განხორციელების წინაპირობები, დასაქმების სფეროები და საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მათი არსებობის შემთხვევაში). ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა;

დ) **სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ფორმა, რომელიც ითვალისწინებს ამ პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი სწავლის შედეგის იმიტირებულ სამუშაო გარემოში ან/და რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას (მათ შორის, დუალური სწავლებით);

ე) **დუალური სწავლება** - დუალური სწავლება გულისხმობს დაწესებულებისა და სუბიექტის (რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული აქვს სასწავლო საწარმოს სტატუსი) მიერ პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, როდესაც პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების 50%-ზე მეტის შესაბამისი სწავლის შედეგები მიიღწევა სასწავლო საწარმოში;

ვ) **კოოპერაციული სწავლება -** კოოპერაციული სწავლება გულისხმობს დაწესებულებისა და სუბიექტის (მეწარმე სუბიექტი/იურიდიულ პირი ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის/ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი) მიერ პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, როდესაც შესაბამისი პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების არაუმეტეს 50%-ის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა ხდება რეალურ სამუშაო გარემოში;

ზ) **იმიტირებული სამუშაო გარემო** - პროგრამით განსაზღვრული ზოგიერთი სწავლის შედეგის იმიტირებულ სამუშაო გარემოში მიღწევა, რომელიც ხორციელდება დაწესებულებაში.

თ) **პროფესიული სტუდენტი** – პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე ან იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით;

ი) **მსმენელი** - პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული მომზადების პროგრამაზე, პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამაზე;

კ) **მოდული** – პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში არსებული ან დამოუკიდებლად შემუშავებული კომპონენტი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დადასტურების პირობებს;

ლ) **კომპეტენცია** – სწავლის შედეგების შესაბამის კონტექსტში (სწავლის ან საქმიანობის პროცესში,პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის) ადეკვატურად გამოყენების შესაძლებლობა;

მ) **კრედიტი** – ერთეული, რომელიც მოიცავს დადასტურებული სწავლის შედეგების ერთობლიობას,რომელიც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იქნეს აღიარებული ერთი ან რამდენიმე კვალიფიკაციის მისაღებად;

ნ) **კვალიფიკაცია** – უფლებამოსილი დაწესებულების/დაწესებულებების მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისა და დადასტურების ფორმალური შედეგი, რომელიც დასტურდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით;

ო) **ფორმალური განათლება** – მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შემენას და აღნიშნულის

სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებას;

პ) **ინდივიდუალური სასწავლო გეგმა** – შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის) საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას/პროფესიული მომზადების პროგრამას/პროფესიული გადამზადების პროგრამას/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს;

ჟ) **ინკლუზიური პროფესიული განათლება** – თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება;

რ) **პროფესიული განათლების მასწავლებელი** - პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში;

ს) **პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება** - პროფესიული სტუდენტის სტატუსის დროებით შეჩერება, რომელიც არ გულისხმობს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას;

ტ) **პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა** - პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა და კოლეჯში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა სახელობითი სიიდან მისი ამორიცხვა. დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე;

უ) **გარე მობილობა** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებიდან (შემდგომში – დაწესებულება) სხვა დაწესებულებაში გადასვლა;

ფ) **შიდა მობილობა** - პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯის ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამიდან (შემდგომში – პროგრამა) სხვა პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა.

მუხლი 2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
   ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითებით); მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი.
   ბ) სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან ადმინისტრაციული სახდელის სახით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება;
   გ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, თუ გასული არ არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა;
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას პროფესიული სტუდენტი/პროფესიული სტუდენტის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით წერილობით მიმართავს კოლეჯს და იგი უფლებამოსილია წარადგინოს შესაბამისი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი ასეთის არსებობის შემთხვევაში.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს.
4. პროფესიულმა სტუდენტმა/პროფესიული სტუდენტის მშობელმა/კანონიერი წარმომადგენელმა, რომელსაც სურს პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა, აღნიშნულის თაობაზე, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 7 სამუშაო დღეში წერილობით უნდა მიმართოს კოლეჯს.
5. კოლეჯის ლიკვიდაციის შემთხვევაში, როდესაც არ არის განსაზღვრული მისი უფლებამონაცვლე ან დაწესებულებამ დაკარგა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება და საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, პროფესიული სტუდენტი მიიჩნევა პროფესიული სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირად.
6. დაწესებულებისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის შემთხვევაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის, ისინი, ვისაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში.
7. პროფესიული სტუდენტი, რომელსაც აღუდგება პროფესიული სტუდენტის სტატუსი უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ ეტაპიდან, რომელზეც შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
8. დაწესებულების ავტორიზაციის ვადის გასვლით დაწესებულების მიერ პროგრამის განხორციელების უფლების დაკარგვის, ასევე დაწესებულების უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციის შემთხვევაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები, მათ შორის, ისინი, ვისაც ავტორიზაციის

ვადის გასვლამდე ან დაწესებულების უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე ლიკვიდაციამდე უკვე შეჩერებული ჰქონდათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით ავტორიზაციის ვადის გასვლიდან/ლიკვიდაციიდან 5 წლის განმავლობაში.

9. პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შეუჩერდება, თუ დაწესებულებასა და სასწავლო საწარმოს შორის შეწყდა ხელშეკრულება. დუალური სწავლების ფორმით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შესაბამის პერიოდში სტატუსის აღდგენის შესაძლებლობა შეთანხმებული უნდა იყოს იმ სასწავლო საწარმოსთან, რომელთანაც პროფესიულ სტუდენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება.
10. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც დასაშვებია ზღვრული რაოდენობის გადაჭარბება არაუმეტეს 25%-ით.
11. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებით გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი და მონაცემები შეიტანება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
12. თუ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის იმავე დაწესებულებაში, რომელშიც პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, დაწესებულება აღარ ახორციელებს იმ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით.

მუხლის 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
   ა) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლა (თუ არ განხორციელდა მისი, როგორც პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა);
   ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
   გ) პროფესიული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება;
   დ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
   ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა;
   ვ) პროფესიულ სტუდენტთა ქცევის წესების უხეში დარღვევა;
   ზ) გარდაცვალება;
   თ) დაწესებულებისათვის ყალბი დოკუმენტის, არასწორი ინფორმაციის წარდგენა, ან ისეთი დოკუმენტის, ინფორმაციის გონივრულ ვადაში წარუდგენლობა, რაც გავლენას იქონიებს პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე;
   ი) თვითდაფინანსების შემთხვევაში ფინანსური დავალიანება (იმ პროფესიულ სტუდენტებთან მიმართებით, რომლებიც არ ფინანსდებიან „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების შესაბამისად).
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 4. შიდა და გარე მობილობა

1. გარე მობილობისა და შიდა მობილობის (შემდგომში – მობილობა) უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის პროფესიული საგანამანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტი.
2. პროფესიულ სტუდენტთა მობილობის ადმინისტრირებას ახორციელებს კოლეჯის დირექტორი.
3. მობილობის უფლების მქონე პირი:
   ა) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტი, რომლის ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
   ბ) პირი, რომელსაც მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
4. მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტი წერილობით მიმართავს კოლეჯს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს იმ დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა საგანმანათლებლო დაწესებულებაში და პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები. კოლეჯის მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დამატებითი დოკუმენტაცია, მათ შორის სტუდენტის სტატუსის, სტატუსის შეჩერებისა და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ. განცხადების რეგისტრაციისას მობილობის მსურველს ეცნობება და განესაზღვრება ვადა

აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოსადგენად, დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა პირისათვის მობილობაზე უარის თქმის საფუძველია.

5. მობილობის მსურველთა განცხადებების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შესაძლოა შეიქმნას შესაბამისი კომისია, რომელიც განიხილავს მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას და შესაბამის რეკომენდაციას უწევს კოლეჯის დირექტორს პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ.
6. პროფესიული სტუდენტის მობილობის გზით კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით.
7. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ (დანართი №1) იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
8. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.
9. დაწესებულება ადგენს მის მიერ შეთავაზებულ პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას საქართველოს კანონმდებლობითა დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 5. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი

1. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მიზანია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებული სწავლის შედეგების აღიარებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.
2. ფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, თუ:
   ა) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მიღწეული სწავლის შედეგები ერთნაირადაა ფორმულირებული ან ფორმულირებაში არსებობს მცირედი განსხვავება, რომელიც გამოწვეულია ენობრივი თავისებურებით ან/და სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურირებით და ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას. ამასთან, სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით ერთმანეთთან თავსებადია;
   ბ) მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.
3. ფორმალური განათლების აღიარების მსურველი (შემდგომში – განმცხადებელი) უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ.
4. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა შეადგენს 1 თვეს განცხადების წარმოებაში მიღებიდან.
5. ფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
   ა) დაწესებულებისთვის განცხადების წარდგენა;
   ბ) კომისიის მიერ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება;
   გ) კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება;
   დ) კოლეჯის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.
6. სწავლის შედეგების აღიარების მსურველი პირი ვალდებულია შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან 3 კვირის ვადაში წარმოადგინოს წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
   ა) დაწესებულების დასახელებას;
   ბ) განმცხადებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;
   გ) განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართს;
   დ) განმცხადებლის ტელეფონის ნომერს;
   ე) განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;
   ვ) მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვს განმცხადებელი;
   ზ) განმცხადებლის ხელმოწერას;
   თ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათ შორის განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს. თუ აღიარების მსურველი წარმოდგენილია წარმომადგენლით, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტს, ფორმალური განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და მისი დანართი (ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში)/უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელ სახელმწიფო დოკუმენტს – დიპლომი და მისი დანართი/ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი) ან მის ნოტარიულად დამოწმებულ ასლს, ან ცნობას, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ

სწავლის შედეგებს, ცნობას საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, სილაბუსს და სხვა.) გარდა ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას შესაძლებელია ერთოდეს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დასადგენად დაწესებულების/პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი იურიდიული პირის მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ასაღიარებელი სწავლის შედეგის მიღწევის თაობაზე, გარდა ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. თავსებადობის არარსებობა შესაძლებელია გახდეს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების აღიარებაზე უარის თქმის საფუძველი.
8. კოლეჯი არ არის უფლებამოსილი განმცხადებელს მოსთხოვოს ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია იმ სწავლის შედეგების აღიარების ნაწილში, რომელიც მიღწეულ იქნა ამავე კოლეჯის მიერ განხორციელებული ფორმალური განათლების ფარგლებში.
9. კოლეჯი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ მუხლის მოთხოვნებთან. თუ განმცხადებელი კოლეჯს არ წარუდგენს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დოკუმენტს, კოლეჯი განმცხადებელს განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.
10. კოლეჯის მიერ ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.
11. თუ კოლეჯის მიერ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს, კოლეჯი უფლებამოსილია გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
12. განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ- ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია, რომელიც უზრუნველყოფს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას.
13. კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისგან. კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია განსაზღვრული იყოს შესაბამისი პროგრამის/მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი დარგის/კომპეტენციის მქონე პირი. კოლეჯი უფლებამოსილია განმცხადებელი მოიწვიოს კომისიის განხილვაზე, თუ მისი მონაწილეობა აუცილებელია წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.
14. კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.
15. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
16. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
17. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს განმცხადებელთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა.
18. კომისია კენჭს უყრის თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში.
19. მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომელმაც დააყენა თვითაცილება, ან რომლის მიმართაც დაყენებულია აცილება. კომისიის წევრი თვითაცილებულად/აცილებულად ითვლება კომისიის მიერ შესაბამისის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.
20. კომისია უზრუნველყოფს წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის შესწავლას იმის დასადგენად, არსებობს თუ არა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აღიარების საფუძვლები. იგი არ არის უფლებამოსილი განმცხადებლის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით განახორციელოს მისი შეფასება.
21. კომისია წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
    ა) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარების შესახებ;
    ბ) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.
22. განმცხადებელს აღიარების გზით კრედიტი ენიჭება მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგის აღიარების შემთხვევაში. სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში პირს ენიჭება იმ პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება.
23. კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მითითებული უნდა იყოს ის სწავლის შედეგი/შედეგები, რომელთა აღიარებაც განხორციელდა ან რომელთა აღიარებაზეც განმცხადებელს ეთქვა უარი შესაბამისი დასაბუთებით.
24. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
    ა) დაწესებულების დასახელება;
    ბ) განმცხადებლის ვინაობა;
    გ) იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდული/სასწავლო კურსის სახელწოდება, რომლის სწავლის შედეგები უღიარდა/სწავლის შედეგები არ უღიარდა პროფესიულ სტუდენტს;
    დ) აღიარებული კრედიტების რაოდენობა;
    ე) გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;
    ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.

25. კოლეჯი ვალდებულია, გადაწყვეტილება განმცხადებელს აცნობოს ინდივიდუალურ- ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.
26. დაუშვებელია აღიარება შემდეგ შემთხვევებში:
   ა) თუ პირს კოლეჯის მიერ ერთხელ ეთქვა უარი კონკრეტული სწავლის შედეგების აღიარებაზე, კონკრეტული პროგრამის მიზნებისათვის;
   ბ) პირის მიერ არ არის წარმოდგენილი ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
   გ) სხვა გარემოებების არსებობის შემთხვევაში.
27. კოლეჯი ვებგვერდის, ოფიციალური ფეისბუქ გვერდისა და ექსტრაკურიკულური აქტივობების მეშვეობით უზრუნველყოს ფორმალური განათლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობას.
28. ფორმალური განათლების აღიარების შედეგები და წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები აისახება სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ წარმოებულ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი ახორციელებს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას.
2. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი პროფესიულ სტუნდენტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს მის გადაყვანას „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არარსებობის შემთხვევაში, კოლეჯი პროფესიულ სტუნდენტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს მის მობილობას იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც ახორციელებს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

მუხლი 7. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება

მსმენელის/პროფესიული სტუდენტის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო პროცესის ორგანიზება

1. კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესაბამისად.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში გამოიცემა ბრძანება პროგრამებში შესაბამისი ცვლილებების შეტანის თაობაზე და ეცნობება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში ცვლილების განხორციელების მიზნით.
3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4. პროფესიული სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში (დატვირთვა) მაქსიმუმ მოიცავს 8 საკონტაქტო საათს (აკადემიური საათი - 45 წუთი), რომელთა შორის შესვენება 15 წუთია.
5. სასწავლო კვირაში სწავლება მიმდინარეობს სალექციო განრიგის მიხედვით, რომელიც შედგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების შესაბამისად.
6. სალექციო განრიგი მოიცავს შემდეგ მონაცემებს:
   ა) მოდულის დასახელება;
   ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის განმახორციელებლის სახელი, გვარი;
   გ) ლექციის დაწყებისა და დასრულების დრო.
7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების დრო და არდადეგები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით, გარდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ განსაზღვრული თარიღისა.
8. ერთი და იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურ ჯგუფებში პროფესიული სტუდენტების რაოდენობის მკვეთრი შემცირების შემთხვევაში, კოლეჯი უფლებამოსილია პროფესიულ სტუდენტთა თანხმობის შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება ჯგუფების გაერთიანების შესახებ.

მუხლი 9. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტი.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების მასწავლებელი/ები მოდულის ადაპტირებისას შეფასების მიმართულების მიხედვით არჩევენ შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს.
3. შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:
   ა) ვალიდურობას;
   ბ) სანდოობას;
   გ) გამჭვირვალობას;
   დ) სამართლიანობას;
   ე) ობიექტურობას.
   ვალიდურობა - შეფასების სისტემა ვალიდურია, თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია შესაფასებელი სწავლის შედეგის დასადასტურებლად. შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტი უნდა იძლეოდეს სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.
   ვერიფიკაციის ჯგუფი შეფასების სისტემის ვალიდურობის დადგენის მიზნით შეისწავლის:
   ა) შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისობას, მოდულის სწავლის შედეგით განსაზღვრულ შეფასების მიმართულებასთან;
   ბ) რამდენად სრულფასოვნად აფასებს შეფასების ინსტრუმენტი შესაფასებელ სწავლის შედეგებს მოდულით დადგენილი ყველა კრიტერიუმის მიხედვით.
   სანდოობა - შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.
   ვერიფიკაციის ჯგუფი შეფასების სისტემის სანდოობის დადგენის მიზნით შეისწავლის:
   ა) ყველა სწავლის შედეგისათვის თითოეული შეფასებული პირისათვის მტკიცებულების არსებობას;
   ბ) მტკიცებულების ავთენტურობას - საჭიროების შემთხვევაში შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას;
   გ) მტკიცებულების საკმარისობას - მტკიცებულების მიხედვით დავალების ყველა კრიტერიუმთან შეესაბამისობას;
   დ) მტკიცებულების ვალიდურობას - შესაფასებელ ინსტრუმენტთან სრულად თავსებადობას.
   გამჭვირვალეობა - შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის;
   ვერიფიკაციის ჯგუფი შეფასების სისტემის გამჭვირვალეობის დადგენის მიზნით შეისწავლის:
   ა) შეფასების შესახებ შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმს;
   ბ) შეფასების შესახებ შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების შესახებ მტკიცებულებას;
   გ) შეფასების შესახებ წინასწარი ინფორმირების მექანიზმს, გონივრული ვადებისა და ფორმის გათვალისწინებით, რათა პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს ამ ინფორმაციის გამოყენება და შეფასების პროცესისათვის ტექნიკური მომზადება. შეფასების შესახებ წინასწარი ინფორმირება ხორციელდება შედეგის დადასტურებამდე არანაკლებ 3 (სამი) დღით ადრე.
   სამართლიანობა - შეფასების სისტემა სამართლიანია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის, შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). მნიშვნელოვანია, რომ შეფასებისას ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირ პირობებში იყოს ჩაყენებული.
   ვერიფიკაციის ჯგუფი შეფასების სისტემის სამართლიანობის დადგენის მიზნით შეისწავლის:
   ა) შეფასებისათვის გამოყოფილი დროის საკმარისობას;
   ბ) შეფასებისათვის საჭირო გარემოს შესაბამისობას;
   გ) შეფასებისათვის გათვალისწინებული შესაბამისი აღჭურვილობითა და მასალებით უზრუნველყოფას;
   დ) შეფასების პროცესის განსაზღვრული პირობების დაცვით განხორციელებას.
   ობიექტურობა - შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული;
   ვერიფიკაციის ჯგუფი შეფასების სისტემის ობიექტურობის დადგენის მიზნით შეისწავლის:
   ა) შეფასების მტკიცებულებებსა და უწყისებს, თუ რამდენად ერთნაირადაა შეფასებული ყველა ერთნაირად შესრულებული დავალება;
   ბ) სხვადასხვა დონეზე (კრიტერიუმებთან შესაბამისობის მიმართებით) შესრულებული დავალებების სხვადასხვაგვარად შეფასებას.
4. მოდულის შესაბამისი კრედიტის მისაღებად დადებითად უნდა შეფასდეს მოდულით მისაღწევი ყველა სწავლის შედეგი.
5. სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ პროფესიული სტუდენტი (შესაფასებელი პირი) დადებითად შეფასდა შეფასების ყველა კრიტერიუმის მიხედვით.
6. შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.
7. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევების შეფასება არსებობს:
ა) განმავითარებელი;
ბ) განმსაზღვრელი.

8. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპის გამოყენებით.
9. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
10. შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ვალდებულება აქვს მოდულის განმახორციელებელ პირს (პირებს).
11. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ მტკიცებულებას და შეფასების მიმართულებას.
12. კოლეჯი აფასებს პროფესიული სტუდენტის ცოდნასა და უნარებს. შეფასებისას ყურადღება ექცევა პროფესიული სტუდენტის აქტიურობას ლექციაზე, მის ჩართულობას სწავლების პროცესში და შემოქმედებითობას.
13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის რომელიმე შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს ამ მოდულზე (რომელიც არის სხვა მოდულის წინაპირობა) სწავლის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი. აღნიშნულ ვადაში პროფესიული სტუდენტის მიერ 1 (ერთი) მცდელობის მიუხედავად მოდულის/სწავლის შესაბამისი შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მან შესაბამისი მოდული/სწავლის შედეგი უნდა გაიაროს ხელახლა.
14. თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა, აღნიშნული მოდულის/სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგი დაადასტუროს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე, ერთჯერადად.
15. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მოდულის დასრულებამდე, დაუდასტურებელი სწავლის შედეგის დადასტურების თარიღი ზეპირსიტყვიერად შეათანხმოს პროფესიული განათლების მასწავლებელთან.
16. საკვალიფიკაციო გამოცდა შესაძლოა ჩატარდეს თეორიული და პრაქტიკული გამოცდის სახით.
17. საგამოცდო თემატიკა არ უნდა სცილდებოდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და პროფესიულ სტუდენტს უნდა შეეძლოს სამუშაოს დაგეგმვა და მიცემული დავალების შესრულება, მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენება.
18. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების შესახებ ინფორმაცია, პროფესიულ სტუდენტს ეცნობება საკვალიფიკაციო გამოცდამდე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე.
19. საკავლიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობის ან უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და მიეცემა ცნობა/სერტიფიკატი გავლილი მოდულების/სწავლის შედეგების შესახებ.

შეფასების ინსტრუმენტის შიდა ვერიფიკაცია და ვალიდაცია

20. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრავს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების ვერიფიცირების პერიოდს.
21. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ვერიფიკაციის შერჩევა შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების გასაჩივრების სისტემატური მომართვიანობის შემთხვევაში, ახალი პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორის არსებობის ან/და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებებისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით.
22. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ვერიფიკაციის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელს მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის ან/და პროფესიული განვითარების/გადამზადების შესახებ. ვერიფიკაციის ჯგუფი ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტს შესაბამისი რეკომენდაციით/შენიშვნებით განსახილველად უბრუნებს ვალიდაციის ჯგუფს შემდგომი რეაგირების მიზნით.
23. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების შიდა ვერიფიკაციის განხორციელებისათვის კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ხარისხის მართვის მენეჯერი და შესაბამისი დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები.
24. ვერიფიკაცია მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:
ა) შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
ბ) პროცესის ვერიფიკაცია;
გ) მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
25. ვალიდაციას ახორციელებს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით შექმნილი ვალიდაციის ჯგუფი, რომლის აუცილებელ წევრებად განისაზღვრებიან შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და დარგის

სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები.

26. შეფასების პროცესამდე მინიმუმ 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალიდაციის ჯგუფს უგზავნის/წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს.
27. ხარვეზის დადგენისათვის ვადა განისაზღვრება 2 (ორი) დღით.
28. ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი შესაბამისი რეკომენდაციით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული ვერსია.
29. შეფასების მიზნებისათვის ნებადართულია მხოლოდ ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება, რომელზეც მითითებული უნდა იყოს „შეთანხმებულია ვალიდაციის ჯგუფთან“ შესაბამისი თარიღის მითითებით.

მუხლი 10. ვერიფიკაციის პროცესის ეტაპები

1. ვერიფიკაციის გეგმის შედგენა - ხარისხის მართვის მენეჯერი ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრავს ვერიფიკაციის ჩატარების პერიოდს, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის ყველა შემადგენელ პროცედურას.
2. ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა - შეფასების სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევისას კოლეჯი მოქმედებს შემდეგი რისკების გასათვალისწინებით:
   ა) დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი;
   ბ) პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების გასაჩივრების სისტემატური მომართვიანობა;
   გ) სანდო/გამოცდილი პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება (მუდმივად ფორმაში ყოფნის მიზნით);
   დ) ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა;
   ე) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება;
   ვ) სხვა გარემოებები.
3. რისკ-ფაქტორების გამოკვეთის შემდგომ, ვერიფიკაციის ჯგუფი ამოწმებს შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის კონკრეტულ ჯგუფ(ებ)ში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შეფასების ინსტრუმენტებს როგორც მიზანმიმართულად, ისე შემთხვევითი შერჩევის წესით. პრობლემის გამოვლენის შემთხვევაში, შესაძლებელია შემოწმდეს მთელი ჯგუფის შეფასების ინსტრუმენტი.
4. ვერიფიკატორების შერჩევა და ინსტრუქტაჟი - პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების შიდა ვერიფიკაციის განხორციელებისათვის კოლეჯის დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც ასახულია ინფორმაცია ვერიფიკაციის ჩაატარების ვადებისა და ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ხარისხის მართვის მენეჯერი, შესაბამისი დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები. საჭიროების შემთხვევაში, ხარისხის მართვის მენეჯერი ვერიფიკაციის ჯგუფის წევრებს უტარებს სათანადო ინსტრუქტაჟს ვერიფიკაციის პროცესთან დაკავშირებით.
5. შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვა - ხარისხის მართვის მენეჯერი ვერიფიკაციის მიზნით შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს/სასწავლო პროცესის მენეჯერს ვერიფიცირების პროცესის დაწყებამდე 3 სამუშაო დღით ადრე აწვდის ინფორმაციას და გამოითხოვს პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების დადასტურებისას გამოყენებულ შეფასების ინსტრუმენტებსა და მტკიცებულებებს.
6. ვერიფიცირების პროცესის შემადგენელი კომპონენტები და ინდიკატორები - ვერიფიცირების პროცესის შემადგენელი კომპონენტებია ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობის დადგენა, ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით, მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობისა და მტკიცებულებათა მიხედვით შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემოწმება, მტკიცებულებათა საკმარისობისა და ვალიდურობის შეფასება, შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება და წინასწარი ინფორმირების ფაქტის გადამოწმება არსებული მექანიზმის შესაბამისად, შეფასების დროის საკმარისობისა და შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება, შეფასებისას გამოსაყენებელი აღჭურვილობის ადეკვატურობის შეფასება, შეფასებისას გამოსაყენებელი აღჭურვილობისა და მასალების და ნედლეულის ადეკვატურობის შეფასება, შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება და მტკიცებულებათა შეფასების ობიექტურობა. აღნიშნული კომპონენტებითა და ინდიკატორებით მოწმდება შეფსების პროცესის ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა და ობიექტურობა.

მუხლი 11 . პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების წესი

1. მოდულის ყველა შედეგის შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება 5 დღის ვადაში.
2. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 2 დღისა, წერილობითი საჩივარი წარადგინოს კოლეჯის კანცელარიაში, რომელიც შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელს იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს.
3. შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით საჩივარს განიხილავს 2 დღის ვადაში.
4. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის ნაშრომი (პროდუქტი, პროექტი ან სხვა ნაშრომი) ფასდება მხოლოდ ერთი შემფასებლის მიერ და პროფესიული სტუდენტი არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, მასთან და სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეთანხმებით, შესაძლოა შემფასებლად გამოყოფილ იქნას კოლეჯის შესაბამისი დარგის/კომპტენციის მქონე სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელი, სხვა შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი

უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე.

5. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შედეგის გასაჩივრების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს დაუსაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა, უფლებამოსილია პროფესიული სტუდენტის შეფასება შეცვალოს (პროფესიული სტუდენტის სასარგებლოდ) ან დატოვოს ძალაში, თუ პროფესიული სტუდენტის მიერ წარდგენილი საჩივარი უსაფუძვლო ან დაუსაბუთებელია.
6. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებელი/კომისიის თავმჯდომარე კოლეჯის დირექტორის სახელზე წარადგენს სამსახურებრივ ბარათს შეფასების კორექტირების თაობაზე შესაბამის უწყისში.
7. ზოგადი ხასიათის წერილობითი საჩივარი, რომელშიც არგუმენტირებულად და მკაფიოდ არ იქნება განსაზღვრული თუ რას ასაჩივრებს პროფესიული სტუდენტი, არ განიხილება. გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
8. საჩივრის განხილვის შედეგი პროფესიული სტუდენტისთვის ცნობილი გახდება წერილობითი საჩივრის წარდგენიდან 5 დღის ვადაში.

მუხლი 12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება მატერიალური/ელექტრონული სახით - მტკიცებულებებით, რომელთა სახეობები განისაზღვრება შესაბამისი მოდულით.
2. მტკიცებულებათა შეგროვება და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება მიმდინარეობს მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში ან/და სწავლის დასრულებისას.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილ მტკიცებულებათა კოლეჯში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას შენახვას და მათ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს კოლეჯის ადმინისტრაცია.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები კოლეჯში დაცულია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინახება მუდმივად.

მუხლი 13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნით გამოსაყენებელი მასალების შენახვისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნით გამოსაყენებელი მასალების შეძენასა და შენახვას აწარმოებს კოლეჯი.
2. პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო მასალების გამოყენება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნით. პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო მასალების გამოყენების პროცესს მეთვალყურეობას უწევს შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირი.
3. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვას კოლეჯში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას უზრუნველყოფს კოლეჯის ადმინისტრაცია.
4. იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელ მტკიცებულებას, შესაძლებელია, ამ წესის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადით კოლეჯში ინახებოდეს იმ ვიდეო ან/და ფოტო ან სხვა მასალის სახით, რომელშიც ასახულია ზემოთაღნიშნული მტკიცებულება.

14. სასწავლო პროცესის ფარგლებში დასაცავი სპეციალური უსაფრთხოების ნორმები

1. კოლეჯში შრომისა და სასწავლო პროცესის უსაფრთხოების ზოგადი ნორმები რეგულირდება კოლეჯის პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკით გაწერილი პროცედურებით.
2. პროგრამის ხელმძღვანელი, კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან კოორდინირებით შეიმუშავებს უსაფრთხოების წესებს, ნორმებს, ნიშნებს და უზრუნველყოფს ლაბორატორიაში/სასწავლო აუდიტორიაში თვალსაჩინოდ ხელმისწავდომობას.
3. მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის გაწევა პროფესიული სტუდენტებისათვის, მათი უსაფრთხობა, სწავლებისა და ლაბორატორიული აქტივობების განხორციელების პროცესში.

მუხლი 15. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესი

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა – შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის) საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას/პროფესიული მომზადების

პროგრამას/პროფესიული გადამზადების პროგრამას/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს;

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისათვის სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით შედგენილი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისათვის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებსა და სწავლის შედეგების მიღწევის გზებს.
3. წინამდებარე მუხლი განსაზღვრავს კოლეჯის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში - შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის/მსმენელებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის მოდიფიცირების (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივი ან რაოდენობრივი ცვლილება) ან აკომოდირების (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილება მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული მოდულის/სწავლის შედეგის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისათვის და დასაშვებია იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, რამდენ მოდულშიც/სწავლის შედეგთან მიმართებაშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები. აღნიშნული წესი ასევე განსაზღვრავს მობილობის წესით გადმოსული, პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის და ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადაყვანილი პროფესიული სტუდენტებისათვის თავსებადი სწავლის შედეგების აღიარებასა და მიღწევის შესაძლებლობებს.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება შესაძლოა განისაზღვროს მაშინ, როდესაც:

4.1. სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი/მსმენელი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;

4.2. მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებისგან;

4.3. პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის გზით;

5. მე-4 მუხლის 4.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევასთან დაკავშირებით პროფესიული განათლების მასწავლებელი მიმართავს სასწავლო პროცესის მენეჯერს, სასწავლო პროცესზე დასწრება-დაკვირვების მიზნით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მენეჯერი შესაბამის სპეციალისტთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გონივრულ ვადაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
6. მე-4 მუხლის 4.2. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მენეჯერისა და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ, ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული მოდულის/სწავლის შედეგის ფარგლებში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. სასწავლო პროცესის მენეჯერი ან სხვა პასუხისმგებელი პირი სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინირებით, ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობას დაწესებულების შესაბამის/თავსებად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი და გავლილი მოდულების/სწავლის შედეგების აღიარების შესაძლებლობის საკითხს. შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმის გადაწყვეტილების საფუძველზე, სასწავლო პროცესის მენეჯერი ამზადებს სამსახურებრივ ბარათს მობილობის მსურველი პირის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე და დაწესებულების ხელმძღვანელს დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტს, რამაც უნდა უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის მიერ შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული საკვანძო კომპეტენციების შეძენა.
7. მე-4 მუხლის 4.3. პუნქტით დამდგარ შემთხვევაში (პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში), პროფესიული სტუდენტი საჭიროების შემთხვევაში სწავლას აგრძელებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით პროგრამის იმ ეტაპიდან, სადაც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, რისთვისაც სასწავლო პროცესის მენეჯერი ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ, უკვე ათვისებულ სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო განრიგს, სხვა შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს მიმდინარე სასწავლო ჯგუფში.
8. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობისას, დაინტერესებული პირი ვალდებულია წარმოადგინოს მის მიერ დადასტურებული მოდულების გავლის დამადასტურებელი ან ცალკეული სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ დოკუმენტი, რის საფუძველზეც, კოლეჯი უფლებამოსილია მობილობის მსურველ პროფესიულ სტუდენტს უღიაროს გავლილი მოდულები/სწავლის შედეგები.
9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში, კოლეჯი ახორციელებს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას. შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უწყვეტობის მიზნით ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და უზრუნველყოფს მიმდინარე სასწავლო ჯგუფების პროფესიული სტუდენტების გადაყვანას მოდიფიცირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული პირობების დაცვით. პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანის შემთხვევაში, კრედიტების აღიარება უნდა მოხდეს ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

10. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/მხარდაჭერის მიმღები პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში შესაძლოა ჩართულ იქნეს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი.
11. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსაზღვრულ უნდა იქნეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების ვადის ფარგლებში.
12. კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას, დამხმარე ტექნიკით ან პროგრამული მხარდაჭერით უზრუნველყოფას.

მუხლი 16. შუალედური შეფასება

1. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის სავალდებულოა შუალედური შეფასება, რომელიც ტარდება პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე და საჭიროებიდან გამომდინარე, მისი მიზანია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება, სასწავლო პროცესის/სასწავლო გეგმის კორექტირება - გაუმჯობესება, პროფესიული სტუდენტის პროგრესის დადგენა სწავლის შედეგების მიღწევასთან დაკავშირებით და მისთვის აღნიშნულზე განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.
2. შუალედური შეფასების ფარგლებში გამოიყენება განმავითარებელი/დიფერენცირებული (ქულობრივი) შეფასება. აღნიშნული გულისხმობს კომენტარს/უკუკავშირს პროფესიული სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის და სწავლის ხელშეწყობის მიზნით.
3. შუალედური შეფასების შედეგები არ წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძველს და მოიცავს იმ ცოდნისა და უნარების შეფასებას, რომლებიც მიღწეულია შესაბამისი შეფასების ჩატარებამდე.
4. შუალედურ შეფასება სავალდებულოა და წარმოადგენს საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობას.
5. შუალედური შეფასების თემატიკა მოიცავს შეფასების მომენტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულების დასრულებულ სწავლის შედეგებს.
6. შუალედური შეფასების თემატიკა უნდა მოიცავდეს შუალედური შეფასების მომენტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულების დასრულებულ სწავლის შედეგებს, რაც გულისხმობს კომპლექსურად, განვლილი თემატიკის შემაჯამებელ დავალებას/დავალებებს.
7. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს:
   - კომპლექსური დავალება;
   - პრაქტიკული დავალება;
   - პრეზენტაცია;
   - პორტფოლიოს პრეზენტაცია;
   - დასრულებული ან მიმდინარე პროექტი;
   - პროფესიული სტუდენტის მიერ საკუთარი სწავლის შედეგების ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის მომზადების გზით;
   - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სხვა ტიპის დავალება/დავალებები და სხვა.
8. შუალედური შეფასება უნდა შეესაბამებოდეს კოლეჯის მიერ შემუშავებულ, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესით გაწერილ მოთხოვნებს ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. კოლეჯი უზრუნველყოფს შუალედური შეფასების, როგორც მნიშვნელოვანი პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას, შეფასების სისტემის მახასიათებლების გამოყენებით. შეფასების სისტემა სამ ელემენტს აერთიანებს: შეფასების ინსტრუმენტი, შეფასების პროცესი და შეფასების მტკიცებულება. შესაბამისად, შეფასების სისტემის ზემოაღნიშნული ხუთი მახასიათებელი შეფასების სისტემის ერთ ან რამდენიმე ელემენტს მიემართება.
9. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს შუალედურ შეფასებაში.
10. შუალედურ შეფასებაში მონაწილეობის მიღება არის საკვალიფიკაციო გამოცდაზე პროფესიული სტუდენტების დაშვების წინაპირობა.
11. შუალედურ შეფასებაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა დამატებით შუალედურ შეფასებაზე გასვლის უფლება ერთჯერადად, შესაბამისი განცხადებისა წარმოდგენიდან 10 დღის ვადაში.
12. დამატებით შუალედურ შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტი უფლებამოსილია დაესწროს პროგრამით გათვალისწინებულ მოდულებს.
13. პროფესიული სტუდენტის შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს კოლეჯისა და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლების ჩართულობით და უნდა გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს.

14. დაწესებულება პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას შუალედური შეფასების თარიღის, შეფასების კრიტერიუმებისა და თემატიკის შესახებ უზრუნველყოფს შეფასებამდე 10 დღით ადრე.
15. კომისია შუალედური შეფასების შედეგების შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას ახორციელებს შეფასებიდან 5 დღის ვადაში, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონული პლატფორმის ამოქმედებამდე ზეპირი კომუნიკაციის/ელექტრონული ფოსტის საშუალებით ინდივიდუალურად, ხოლო პლატფორმის ამოქმედებიდან - შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მეშვეობით.

მუხლი 17. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი

1. საკვალიფიკაციო გამოცდების მიზანია პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარის შეფასება.
2. პროფესიული განათლების ფარგლებში პირისთვის კვალიფიკაციის მინიჭებისთვის აუცილებელია საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.
3. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგის დადასტურება და პროფესიული სტუდენტის შუალედურ შეფასებაში მონაწილეობა.
4. საკვალიფიკაციო გამოცდების შინაარსი უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს და ამოწმებდეს პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების პროცესში კომპლექსურად გამოყენების უნარს.
5. საგამოცდო თემატიკა არ უნდა სცილდებოდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და პროფესიულ სტუდენტს უნდა შეეძლოს სამუშაოს დაგეგმვა და მიცემული დავალების შესრულება, მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენება.
6. საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს:
   - კომპლექსური დავალება;
   - პრაქტიკული დავალება;
   - პრეზენტაცია;
   - პორტფოლიოს პრეზენტაცია;
   - დასრულებული პროექტი;
   - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სხვა ტიპის დავალება/დავალებები და სხვა.
7. საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასება უნდა შეესაბამებოდეს კოლეჯის მიერ შემუშავებულ, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესით გაწერილ მოთხოვნებს ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას.
8. კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს, საკვალიფიკაციო გამოცდების შეფასების ინსტრუმენტის/ინსტრუმენტების (შემდგომში - შეფასების ინსტრუმენტი) შემუშავება და ვალიდაცია, ასევე, შეინარჩუნოს ინსტრუმენტის კონფიდენციალობა, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებამდე.
9. საკვალიფიკაციო გამოცდებისას გამოყენებულ უნდა იქნეს კომპლექსური შეფასების ინსტრუმენტი, რომლითაც შეფასდება როგორც პრაქტიკული, ასევე, თეორიული ცოდნა.
10. კოლეჯი უფლებამოსილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიიღოს გადაწყვეტილება საკვალიფიკაციო გამოცდის რამდენიმე ეტაპად ჩატარებაზე.
11. საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადაში.
12. საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასება განხორციელდება განმსაზღვრელი შეფასებით.
13. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია გამოცხადდეს საკვალიფიკაციო გამოცდაზე.
14. საკვალფიკაციო გამოცდაზე მიღებული უარყოფითი შეფასების ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს განმეორებით საკვალიფიკაციო გამოცდაზე ერთჯერადი დაშვების უფლებით, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებიდან 1 (ერთი) კვირის განმავლობაში შესაბამისი განცხადების წარმოდგენის საფუძველზე.
15. საკავლიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობის ან უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და მიეცემა ცნობა/სერტიფიკატი გავლილი მოდულების/სწავლის შედეგების შესახებ.
16. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასება შესაძლებელია განხორცილდეს დაწესებულებისა და სუბიექტის (მეწარმე სუბიექტი/იურიდიულ პირი ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის/ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი)/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი სხვა დაწესებულებების წარმომადგენლების ჩართულობით, ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით.
17. კომისიის თავმჯდომარე აირჩევა კომისიის წევრების მიერ, ხმათა უმრავლესობით. დაუშვებელია კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს კოლეჯის წარმომადგენელი. ამასთან, კომისიის შემადგენლობის უმრავლესობას არ უნდა წარმოადგენდნენ ის პირები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასებაში.

18. კოლეჯი პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების თარიღის, შეფასების კრიტერიუმებისა და თემატიკის შესახებ უზრუნველყოფს შეფასებამდე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე.
19. კომისია საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების შედეგების შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას ახორციელებს შეფასებიდან 2 დღის ვადაში შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მეშვეობით.
20. საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგების საფუძველზე, მიიღება ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
   ა) საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შესახებ;
   ბ) საკვალიფიკაციო გამოცდის ვერ ჩაბარების შესახებ.
21. საპრეტენზიო განაცხადი შეიძლება წარდგენილ იქნეს საკვალიფიკაციო გამოცდის პროცედურის დარღვევასა და უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში. ამ პუნქტის მიზნებისთვის დარღვევად მიიჩნევა ფაქტი, რომელმაც გავლენა იქონია საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგზე.
22. საპრეტენზიო განცხადებას განიხილავს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისია, რომელიც შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან.
23. შეფასებისას წარმოშობილი პრეტენზიის განხილვის მიზნით, პროფესიულმა სტუდენტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს საპრეტენზიო კომისიას შეფასების გაცნობიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა.
24. დაუშვებელია საჩივრის განმხილველი კომისიის შემადენლობაში შედიოდეს პირი, რომელიც მონაწილეობას იღებდა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებაში.
25. საჩივრების განმხილველი კომისიის მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი უნდა გამორიცხავდეს მხოლოდ კოლეჯის წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.
26. საჩივრების განმხილველი კომისიის თავმჯდომარე აირჩევა კომისიის წევრთა მიერ, ხმათა უმრავლესობით. დაუშვებელია კომისიის თავმჯდომარედ აირჩეს კოლეჯის წარმომადგენელი.